პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 44 (3274)
2
1967 წ.
მარტი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის შეხვედრა ჟურნალისტებთან

როგორც ვიუწყებოდით, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიწვევით მიმდინარე წლის 6-13 თებერვალს ინგლისში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. მის თანმხლებ პირებს შორის იყო, აგრეთვე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

1 მარტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გ. დ. ჯავახიშვილი შეხვდა გაზეთებისა და ჟურნალების, გამომცემლობების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტებსა და თანამშრომლებს.

პრეს-კონფერენცია გახსნა გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ დ. მჭედლიშვილმა.

ამხანაგმა გ. დ. ჯავახიშვილმა ჟურნალისტებს მოუთხრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის დიდ ბრიტანეთში ვიზიტის შედეგებზე, უამბო ინგლისის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე, გაუზიარა პირადი შთაბეჭდილებანი დიდ ბრიტანეთში ყოფნის შესახებ.

შემდეგ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა უპასუხა ჟურნალისტთა ბევრ შეკითხვაზე. (საქდესი).

◆

გუშინ ტურისტულმა მატარებელმა „შოთა რუსთაველმა" ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოიყვანა ადიგენის რაიონის მშრომელები, რომელთა შორის იყვნენ საკოლმეურნეო შრომის მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები, დედაქალაქის პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადასცეს ვაშლისა და მსხლის ნერგები.

სურათზე: ადიგენელ მშრომელთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. გოქაძისა.

◆

თეიმურაზ კაკულია ამარცხებს ვიცე-ჩემპიონს

მოსკოვი, 1 მარტი (ტელეფონით). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მესამე დღეს დაძაბული ბრძოლა გაიჩაღეს ახალგაზრდა ქართველმა სპორტსმენმა თ. კაკულიამ და სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ვიაჩ. ეგოროვმა. ქართველმა ჩოგბურთელმა ტოლი არ დაუდო ტიტულოვან მეტოქეს და 3 პარტიაში გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა — 6:4, 4:6, 6:4. ეს იყო მართლაც გმირული ბრძოლა. მეოთხედფინალში კაკულია შეხვდება საფრანგეთის ჩემპიონს დარმონს. ფრანგმა სპორტსმენმა ტურნირის ამ ეტაპზე ბრძოლის უფლება მოიპოვა ვასილიევთან შეხვედრის მოგებით — 6:3, 6:4. მეტრეველმა ადრევე გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური, კოროტკოვმა ვოლკოვთან შეხვედრისას კი ხუთივე პარტია გაითამაშა და ბოლო პარტიის მოგებით (9:7) დაწინაურდა. აი, მეოთხედფინალური მატჩების წყვილები: დარმონი—კაკულია, ლეიუსი—მოზერი, ბარკლაი (საფრანგეთი) — კოროტკოვი, მეტრეველი—ივანოვი.

ქალთა ერთეულებიდან 6 მეოთხედფინალისტი ცნობილი იყო: ბაკშეევა, ლესტალი (შვეცია), პალმეევა (ჩეხოსლოვაკია) დმიტრიევა, ისლანოვა და ბალინგი (დანია). გამოვლინდა დანარჩენი ორიც: მოროზოვამ ამ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მას შემდეგ მოიპოვა, რაც დაამარცხა საფრანგეთის მესამე ჩოგბურთელი ქალებში, პ. დარმონის მეუღლე როზმარი დარმონი — 6:2, 3:6, 6:2. რიგელმა იანსონემ მეოთხედფინალის საგზური სალფატისთან (საფრანგეთი) იოლი გამარჯვებით იგდო ხელთ — 6:2, 6:1.

ჩოგბურთი

ახალი ამბები

● **ბერლინი.** 28 თებერვალი. აქ გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. მოსკოველმა სტუდენტმა ვ. გავრილოვმა გადალახა 209 სმ სიმაღლე და პირველი ადგილი დაიკავა. სამხტომში იმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჰანს იუნგენ-რიუკბორნმა. მისი შედეგი 16,32 მ გდრ-ის ახალი რეკორდია. ჰოლანდიელმა ლია ლოუენ-ჰინტერმა ყველაზე სწრაფად გაირბინა 400-მეტრიანი დისტანცია — 55,7. ბაქოელმა სპრინტერმა ვ. კასატკინმა მეორე ადგილი დაიკავა 60 იარდზე რბენაში — 6,3 წამი. აქ პირველი იყო პოლონელი დუდზიაკი — 6,2.

● **ბელგრადი.** 28 თებერვალი. ბელგრადის „სპორტ-პალასეში" გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა მ. კინდერმ 400-მეტრიან დისტანციაზე აჩვენა 47,6 წამი. ეს შედეგი საუკეთესოა ევროპაში ამ სეზონში.

● ლიონი, 28 თებერვალი. ლიონის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ასპარეზობა. გამარჯვება მოიპოვეს ფრანგმა სპორტსმენებმა. 20 წლის ჟაკ ნალემ 400 მეტრზე რბენაში აჩვენა 47,9 წამი, ჭოკით ხტომაში კი ჟ. დ'დანჟოსმა (ორივე—საფრანგეთი) გადალახა 5 მ სიმაღლე. სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა ლ. დევისმა (დიდი ბრიტანეთი) მისი შედეგია 770 სმ.

● *ადელაიდა, 28 თებერვალი. ავსტრალიის ამ ქალაქის სტადიონზე გამართულ ქვეყნის ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდსმენმა რ. კლარკმა იოლად მოიგო 5-კილომეტრიან დისტანციაზე რბენა — 13.51,2. წინაღობებით 3 ათას მეტრზე რბენაში მაღალი შედეგი აჩვენა კ. ო'ბრაიენმა — 8.39,9. ბადროს მტყორცნელმა ვ. სელვეიმ 53 სმ-ით გააუმჯობესა ავსტრალიის რეკორდი. მისი შედეგია 58.90 მ. 1500 მეტრზე რბენა მოიგო 20 წლის უოტსონმა — 3.46,9.*

● **ბონი,** 28 თებერვალი. ნამდვილად ბედნიერი გამოდგა ჰოლანდიელი მოციგურავეებისათვის დასავლეთ გერმანიის პატარა საკურორტო ქალაქ ინცელის ხელოვნური საციგურაო. ამ დღეებში ჰოლანდიელებმა ამ სარბიელზე დაამყარეს 4 მსოფლიო რეკორდი. დღეს კი მსოფლიოს ექსჩემპიონმა სხენკმა 1000 მეტრი 1 წუთსა და 20,6 წამში გაირბინა და გააუმჯობესა საბჭოთა სპორტსმენის ე. გრიშინის მიღწევა, რომელიც ამ ორი წლის წინათ იყო დამყარებული. დაემხო 10 ათას მეტრზე რბენის რეკორდიც. იგი დაამყარა ნორვეგიელმა ფ. ა. მაიერმა დისტანციის გავლას მან 15 წუთი, 31,8 წამი მოანდომა და 0,4 წამით გააუმჯობესა შარშან დამყარებული თავისივე მსოფლიო რეკორდი.

საათი

◆ **მოსკოვი,** 1 მარტი. „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიოს პირველობის ფინალი. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ბ. სამოროდოვმა, რომელმაც მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

◆ **მოსკოვი,** 1 მარტი. ჩოგბურთელთა მოსკოვის საერთაშორისო შეჯიბრების ვაჟთა ერთეულების ნახევარფინალში ითამაშებენ საბჭოთა და ფრანგი სპორტსმენები. ა. მეტრეველი შეხვდება ბარკლაის, თ. ლეიუსი — რ. დარმონს.

◆ **ბუქარესტი, 1 მარტი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის I მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა ადგილობრივ „დინამოსა" და მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1 (15:12, 15:13, 7:15, 15:4).

●

ახლახან მოსკოვში დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ამ ასპარეზობაში თავი ისახელა თბილისელმა სპორტსმენმა ს. სარხოიანმა, რომელმაც ბაქოელ რ. პოლოსოვასთან ერთად მოიპოვა პირველობა შერეულ წყვილებში. ამ **სურათზე** სწორედ გამარჯვებულები არიან აღბეჭდილი. სარხოიანმა და პოლოსოვამ ფინალში დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები ლუჟოვა და მიკო. ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში სარხოიანი IV ადგილს დაიჭერდა ვართანიანთან ერთად.

ფოტო ვ. შანდრინისა
(საკდესი).

●

ლიდერები და აუტსაიდერები

კიევი, 28 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა შორის ძლიერი და სუსტი გუნდები არ არსებობენ. არიან მხოლოდ ლიდერები და აუტსაიდერები. თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა კოლექტივი აუტსაიდერთა რიცხვშია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენ გუნდებს მასთან გამარჯვება გარანტირებული აქვს.

„ჟალგირისი" თბილისელებთან მატჩს მთელი სერიოზულობით მოეკიდა, მაგრამ მაინც დამარცხდა — 53:58. შეხვედრის შემდეგ ვესაუბრე ლიტველთა მწვრთნელს. მან მშვიდად და ტაქტიანად გადაიტანა მარცხი და განაცხადა: „გასაკვირი არაფერია. ჩვენ ცუდად ვითამაშეთ, „ბურევესტნიკმა" კი კარგად".

თბილისის „დინამოს" მეტოქე ამ დღეს სსრ კავშირის ნაკრები იყო. დინამოელთათვის ამ მატჩს მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან როგორც ცნობილია, ნაკრები კონკურსგარეშე გამოდის. ამის მიუხედავად, თბილისელებმა მონდომებით ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი და ძლიერ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. 6-ქულიანი უპირატესობა (39:33) ნაკრებს ხელს არ აძლევდა, ამიტომ II ტაიმი მან „გაშმაგებით" დაიწყო. მაგრამ, როგორც ჩანს, თბილისელებმა ძალები საკონკურსო მატჩებისთვის შემოინახეს და შეხვედრა უბრძოლველად დათმეს — 64:111.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ცსკა (მოსკოვი) — აზინე (ბაქო) 97:62, „კალევი" (ტარტუ) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 74:62, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ასკ (კიევი) 87:76, „სტროიტელი" (კიევი) — ვეფ (რიგა) 70:50.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
სსრ კავშირის ნაკრები	11	11	0	11
„სტროიტელი" (კიევი)	10	10	0	10
„დინამო" (თბილისი)	10	7	3	7
ვეფ (რიგა)	11	7	4	7
ასკ (რიგა)	10	6	4	6
ცსკა (მოსკოვი)	10	5	5	5
„კალევი" (ტარტუ)	10	5	5	5
„ჟალგირისი" (კაუნასი)	10	4	6	4
„ურალმაში" (სვერდ.)	10	3	7	3
„სპარტაკი" (ლენინგრ).	10	3	7	3
„ბურ." (თბილისი)	10	2	8	2
აზინე (ბაქო)	10	2	8	2
ასკ (კიევი)	10	1	9	1

ლ. ქველიძის 24 ქულა

ლენინგრადი, 28 თებერვალი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). მორიგი შეხვედრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს ნოვოსიბირსკის „დინამოსთან" ჰქონდა. თამაში ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ქველიძე, ჯანელიძე, კოვზირიძე, გრიგორიანი, სურგულაძე. ანგარიში წაიყვანეს თბილისელებმა, რომელთა შორის ძალზე ზუსტი სროლებით გამოირჩეოდნენ ჯანელიძე, განსაკუთრებით კი ქველიძე. პირველი ტაიმი დამთავრდა 30:18 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ სტუდენტები კვლავ წინ არიან, დაბოლოს იგებენ შეხვედრას — 56:52. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ქველიძე — 24 ქულა. ჯანელიძემ თავის გუნდს 17 ქულა შესძინა.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) 68:50, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი) 68:64, სსრ კავშირის ნაკრები — „დინამო" (კიევი) 71:47, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — ასკ (ლენინგრადი) 66:47, „პოლიტექნიკა" (კაუნასი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 63:54.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

კალათბურთი

პარტიისა და მთავრობის დადგენილება — მოქმედებაში!

აქტივმა გზები დასახა

— დღეს აქ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ ვიმსჯელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეტად მნიშვნელოვან დადგენილებაზე ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, განვიხილოთ სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტროსა და რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ამის თაობაზე, შევიმუშავოთ ჩვენს საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებები, — ასე დაიწყო სიტყვა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ გ. ჟორჟოლაძემ.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამეურნეო, პროფკავშირულ-კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივის კრებაზე, რომელიც ამას წინათ თბილისში გაიმართა, თავი მოიყარეს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებმა. ისინი გულდასმით უსმენდნენ მომხსენებელს, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ზემდგომი ორგანოების დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობასა და სამერმისო ამოცანებზე.

გ. ჟორჟოლაძემ აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილებები საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისთვის, მათი ფიზიკური გაკაჟებისთვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის საუკეთესო ნიმუშია. ჩვენ ვალდებული ვართ დაუღალავად ვიბრძოლოთ მისი ცხოვრებაში გატარებისთვის, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის. დადგენილება სახავს საბჭოთა მშრომელებში სპორტული და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ წარმართვის, სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში ფიზაღზრდის უკეთ დაყენების გზებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სპორტულ ახალმშენებლობებს, სპორტინვენტარის წარმოებისა და ხარისხის ამაღლებას.

როგორც მომხსენებელმა თქვა, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭომ ბოლო წლებში საგრძნობლად გარდაქმნა მუშაობა. შარშან გადაჭარბებით შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები. ჩვენს კოლექტივებში ათობით სპორტის ოსტატი, 200-მდე ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 1246 მეორე და 6144 სხვა თანრიგის სპორტსმენი მოამზადეს. საგზაო საბჭო სამი წელია ინარჩუნებს „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. პროცენტულად ბევრია სპორტული საზოგადოების წევრიც. ამ მხრივ საქმე ყველაზე უკეთაა თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში, სადაც სპორტში მუშა-მოსამსახურეთა თითქმის 50 პროცენტია ჩაბმული. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ფიზკულტურული მუშაობა სათანადო დონეზე დგას იმ განყოფილებებში, საწარმოებსა და მშენებლობებზე, რომელთა ხელმძღვანელებსაც კარგად აქვთ შეგნებული ადამიანის ჯანმრთელობაზე და აქედან გამომდინარე, შრომისნაყოფიერების ზრდაზე ფიზკულტურის კეთილისმყოფელი გავლენა, ყოველმხრივ ხელს უწყობენ მის აღმავლობას.

განსაკუთრებით საქები არიან სადგურ სოხუმის (უფროსი წურწუმია), ხაშურის სალოკომოტივო (აღლაძე), თბილისის სავაგონო (წერეთელი) და საელმავლო (ჟღენტი), ბაქოს საორთქლმავლო (ალიევი), ბალაჯრის სავაგონო (ბაბაევი), ლენინაკანის სავაგონო (მელქონიანი) დეპოებისა და სხვათა ხელმძღვანელები.

მომხსენებელმა ილაპარაკა ამიერკავკასიის რკინიგზელ ფიზკულტურელთა მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. როგორც გზათა მიმოსვლის სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის კოლეგიამ აღნიშნა, რკინიგზებზე, მის საწარმოებსა და მშენებლობებზე სასწავლო-დაწესებულებებში სამეურნეო, პროფკავშირული და სპორტული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ წარმართავენ სათანადოდ რკინიგზელთა და მათი ოჯახის წევრთა შორის მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობას. ასეა ამიერკავკასიის რკინიგზაზეც. მართალია, ისე როგორც მოსკოვის, სამხრეთ-დასავლეთის, ლვოვის, სამხრეთისა და სხვა მოწინავე გზებზე, ჩვენთანაც ფიზკულტურასა და სპორტში მუშა-მოსამსახურეთა 40 პროცენტია ჩაბმული, მაგრამ ეს როდი კმარა.

გ. ჟორჟოლაძემ აღნიშნა, რომ ბევრ განყოფილებაში, საწარმოსა და მშენებლობაზე გამოუყენებელია ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესაძლებლობანი, არ ზრუნავენ საზოგადოების წევრთა რიცხვის ზრდისთვის, იშვიათად ატარებენ ტურნირებს, მაშასადამე, სათანადოდ არც სპორტული ბაზებია დატვირთული.

მაგალითად, მომხსენებელმა დაასახელა სოხუმის წყალჯომარდობის სადგური, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია, თქვა, რომ ბათუმის სპორტდარბაზი 5 წელია არ შეკეთებულა და ფაქტიურად გამოუსადეგარია, სამტრედიის ახალ სპორტდარბაზს სათანადოდ ვერ იყენებენ, მოუგვარებელია ხაშურის შესანიშნავი დარბაზის გათბობის საქმე, რის გამოც ზამთრობით იქ სექციების მეცადინეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. დადებითად ვერ გადაწყდა თბილისის სპორტდარბაზის გათბობის საკითხი. ნაგებობათა დისტანციამ სამტრედიის სტადიონის ირგვლივ სარბენი ბილიკები და მძლეოსნობის სექტორები იმდენად უხეიროდ, უსულგულოდ გააკეთა, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია, ლენინაკანის სპორტდარბაზი სავაჭრო ორგანიზაციების საწყობად გადააქციეს და სხვ.

— კიდევ ბევრი ამგვარი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში ჩვენი ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის უყაირათობის საილუსტრაციოდ ესენიც კმარა, — განაგრძო გ. ჟორჟოლაძემ, — აგვისტოს დადგენილება ახალი ბაზების აგების აუცილებლობასაც ითვალისწინებს, რაც სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ კიდეც. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პირველ რიგში არსებულ ბაზებს უნდა მოვუაროთ. აქტივს აუცილებლად მიაჩნია ყველა კოლექტივში II კვარტლის ბოლომდე მოაწესრიგოს სპორტული მოედნები და ბაზები. უნდა მივხედოთ ისეთ კვანძებს (მაგალითად, ერევნის, ქუთაისის, ფოთის, ბორჯომის, კიროვაბადისა და ზოგიერთ სხვას), სადაც სპორტული ნაგებობები დღემდე ან სრულიად არ გაგვაჩნდა, ან უკმარია.

— სპორტული ბაზების მოსაწყობად დროულად უნდა გამოვნახოთ სათანადო სახსრები. ადგილობრივი ორგანიზაციები, კომკავშირელი და ფიზკულტურელი ახალგაზრდობა გულხელდაკრეფილნი კი არ უნდა ელოდნენ, როდის მოუწყობენ მოედნებს, როდის აუგებენ დარბაზს, — საკუთარი ძალებით უნდა შეუდგნენ საქმეს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კაპიტალურ სპორტნაგებობათა მშენებლობის საკითხს. მან აღნიშნა, რომ ბაქოსა და სამტრედიის საცურაო აუზები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს რკინიგზელ ფიზკულტურელთა მოთხოვნებს და სხვა ორგანიზაციათა ბაზების ქირაში დიდძალი თანხა იხარჯება. კარგი თაოსნობა გამოიჩინეს „გზაპროექტის" ახალგაზრდა ინჟინრებმა, რომლებმაც თბილისის საცურაო აუზის დაპროექტება დაიწყეს. მშენებლობისთვის ნაკვეთი და თანხა უკვე გამოიყო, ახლა ყველაფერი დამპროექტებელთა სიმარჯვეზეა დამოკიდებული.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო გამაჯანსაღებელ საქმიანობას. აღინიშნა, რომ საქართველოში არა გვაქვს რკინიგზელთა ტურისტული ბაზა, ნაკლები ყურადღება ექცევა საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა შორის ფიზკულტურულ მუშაობას, საწარმოო ტანვარჯიშს. ითქვა ისიც, თუ რა უნდა გაკეთდეს არსებული ხარვეზების აღმოფხვრისთვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. დოლობერიძემ, აზერბაიჯანის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ტ. აგაევმა, ერევნის რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. დავთიანმა, სპორტკლუბ „ელმავლის" თავმჯდომარემ, თბილისის განყოფილების უფროსის მოადგილემ მ. მჟავიამ, ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. არევაძემ, რეგბის სექციის თავმჯდომარემ, თბილისის სავაგონო დეპოს უფროსმა გ. წერეთელმა, საბაიდარო ნიჩბოსნობისა და კანოეს სექციის თავმჯდომარემ, ამიერკავკასიის რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ა. ტამრაზოვმა, სადგურ ბალაჯრის ადგილკომის თავმჯდომარემ მ. როგოვმა, პროფკავშირთა საგზაო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. სოგბეტოვმა, სპორტის ოსტატმა რ. სერებრიანიმ და სხვ.

ისინი ლაპარაკობდნენ იმ მიზეზებზე, რაც ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოებში და მშენებლობებზე ფიზკულტურის განვითარებას აფერხებს. მაგალითად, გამოირკვა, რომ თბილისის სავაგონო დეპოს აქამდე არავითარი სპორტული ბაზა არ ჰქონია. გააკრიტიკეს რკინიგზის სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც არ ზრუნავენ სპორტინვენტარით მომხმარებელთა უზრუნველყოფისთვის, ითქვა, რომ უნდა გაუმჯობესდეს ფიზკულტურული მუშაობა პიონერთა ბანაკებში, რომ არ ჰყოფნით მწვრთნელები, არ არის მძლეოსნური ბაზები და სხვ.

სიტყვით გამოვიდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ოსიპენკო.

აქტივის კრების მუშაობა შეაჯამა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. ქადაგიძემ.

საორგანიზაციო კომიტეტმა იმსჯელა

ამას წინათ სოხუმში გაიმართა აფხაზეთის საიუბილეო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა სოხუმის, გულრიფშისა და გალის რაიონებში ამ სპარტაკიადისთვის მზადების საკითხი. სხდომას ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ჩიქოვანი. მოხსენებით გამოვიდნენ მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარეები: რ. ხიკუბა (სოხუმი), გ. დავითაია (გულრიფში) და ა. ქავთარაძე (გალი). მათ აღნიშნეს, რომ საიუბილეო სპარტაკიადის ორგანიზებულად გამართვისთვის ადგილებზე დროულად შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტები და მნიშვნელოვანი მუშაობაც ჩატარდა. ფიზკულტურულ კოლექტივებში უკვე გაიმართა შეჯიბრებები და მასობრივი ტურნირები, დამთავრდა ზონალური და რაიონული სპარტაკიადები, შექმნილია ნაკრები გუნდები, რომლებიც აფხაზეთის სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

აღინიშნა ისიც, რომ ასპარეზობა ბევრგან დაბალ დონეზე ჩატარდა. შეჯიბრებებს საზეიმო ხასიათი არ ჰქონდა, შეიმჩნეოდა კვალიფიციური მსაჯების სიმცირე და სხვ.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომამ მოისმინა მშრომელთა დეპუტატების, სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. კვინიკაძის ინფორმაციაც აფხაზეთის საიუბილეო სპარტაკიადისთვის სოხუმის ბაზების მზადყოფნის თაობაზე.

აფხაზეთისა და საქართველოს სპარტაკიადებისთვის მზადების შესახებ სხდომას მოახსენეს აფხაზეთის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ჯ. გუბაზმა და დოსააფის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ანცუროვმა. ისინი ლაპარაკობდნენ ადგილობრივი ნაკრები გუნდების სამზადისზე და მათი ნაყოფიერი საქმიანობის ხელშემშლელ პირობებზე.

საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ა. ჩანბა.

მოწინავეთა სკოლაში

ასე უწოდებენ ფოთის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი პ. ნაცვლიშვილი, ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ნ. აფხაზავა), რომლის 1.200 მოსწავლიდან ყოველი მეორე სპორტითაა გატაცებული. სწორედ ამის მიზეზია ის, რომ შარშან სკოლის სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქალაქო ასპარეზობებში: ჩემპიონობა მოიპოვეს ტანვარჯიშში, ხელბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, II ადგილები დაიკავეს ფეხბურთსა და მძლეოსნობაში.

შარშანდელმა წელმა სკოლას 8 პირველთანრიგოსანი შესძინა. ესენი არიან: ხელბურთელები — ლ. კუცია, ნ. დუდუჩავა, გ. ალანია, ტანმოვარჯიშენი — ე. ოჩიგავა და ე. გვალია, მოჭიდავენი — პ. გუგუშვილი და ნ. ფარღალავა. მაგიდის ჩოგბურთელი ც. ქვარცხავა. II თანრიგის ნორმატივი ჩვიდმეტმა მოსწავლემ შეასრულა, III თანრიგისა — ორმოცდაცხრამ, მოზარდთა თანრიგისა — ორმოცდაათმა...

ამ სკოლის 45 მოსწავლე შარშან ქალაქის სპორტულ ღირსებას იცავდა, ხოლო სამი — რესპუბლიკის სახელით გამოდიოდა.

სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ, მეცხრეკლასელმა გ. ალანიამ გვითხრა: „ჩვენს წარმატებაში მთავარი წვლილი მიუძღვით პედაგოგებს, რომლებიც დიდი სიყვარულით ეკიდებიან საქმეს და დროს არ იშურებენ ჩვენთან მეცადინეობისთვის. მონდომებით მუშაობენ მოსწავლე აქტივისტებიც. 41 ნორჩ მძლეოსანს სათავეში უდგას ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. თალაკვაძე. მასთან მეცადინეობა მოსწავლეებისთვის ნამდვილი ზეიმია. აქ დაუფასდა კიდეც მასწავლებელს გარჯა: ჩვენმა საუკეთესო მძლეოსანმა გ. ბერაიამ ბირთვის კვრაში საქართველოს რეკორდი დაამყარა გოგონათა შორის. ტანმოვარჯიშეებს ხელმძღვანელობს ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. აფხაზავა, ფეხბურთელებს — ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. სერგია, ხელბურთელ ბიჭებს თავად მე ვამეცადინებ, გოგონებს კი მეცხრეკლასელი ნ. ჯოლია, კალათბურთელ ბიჭებს ჩემი ძმა, მეშვიდეკლასელი გია ალანია „მეურვეობს", გოგონებს მეცხრეკლასელი ლ. გაბუნია ავარჯიშებს, მაგიდის ჩოგბურთელებს კი მეათეკლასელი რ. პაპავა ხელმძღვანელობს".

სკოლაში ხშირად ტარდება შეჯიბრებები და წარმატების ერთ-ერთი საწინდარი სწორედ ეს არის.

პ. ბერიკაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. აფხაზავა ყურადღებით ადევნებს თვალს მეათეკლასელ პირველთანრიგოსან ე. გვალიას ვარჯიშს; ქვემოთ — მეორესკოლელები კროსის სტარტზე.

ფოტო ავტორისა.

ჩემპიონი აქაც პირველი

უძლიერეს ტყვიის მსროლელთა რესპუბლიკური შეჯიბრების მეხუთე დღეს ყველაზე საინტერესო გამოდგა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა 50 მეტრიდან. თვითეულ სპორტსმენს 60 გასროლის უფლება ჰქონდა. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენისა და სსრ კავშირის ჩემპიონის ვ. სალუქვაძის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ უბრძოლველად დანებებას არც სხვა ოსტატები — ო. კვირიკაშვილი, დ. ფილიპეცი და მ. პაპავა აპირებდნენ.

ფავორიტებმა წარუმატებლად დაიწყეს. კვირიკაშვილის გარდა ვერც ერთმა ვერ დააგროვა 100-დან 90 ქულაზე მეტი, სალუქვაძეს კი 87 ქულა ჰქონდა. სამი სერიის შემდეგ დაწინაურდა პაპავა, მაგრამ ბოლო სამ სერიაში მან ცუდად ისროლა (90; 92; 89) და ასპარეზობა 549 ქულით დაასრულა. ეს შედეგი ერთი ქულით ნაკლებია ოსტატის ნორმაზე.

ამასობაში სალუქვაძემ მდგომარეობა თანდათან გამოასწორა. მეორე სერიაში მან 93 ქულა დააგროვა, მესამეში — მხოლოდ სამი ქულა დაკარგა. მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა კვირიკაშვილი. ამ ორთაბრძოლაში ნათლად გამოვლინდა სალუქვაძის გამოცდილება. მან კარგად გაანაწილა ძალა, უფრო დინჯად, დარწმუნებულად ისროდა და გამარჯვებაც დაისაკუთრა — 554 ქულა. ეს მხოლოდ 4 ქულითაა ნაკლები საერთაშორისო ოსტატის ნორმაზე, მაგრამ სალუქვაძისთვის მაინცდამაინც სახარბიელო როდია, — მისი საუკეთესო მაჩვენებელი 16 ქულით აღემატება ამ შედეგს.

მეორე იყო კვირიკაშვილი — 551 ქულა. პაპავა III ადგილზე დარჩა. ძლიერი ქარი რომ არა, შედეგები უდავოდ უკეთესი იქნებოდა. ვფიქრობთ, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში ჩვენი ბიჭები კარგად გამოვლენ ამ ვარჯიშში.

ცეცხლის ხაზზე ვაჟების ადგილი ქალებმა დაიკავეს. ისინი მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 30 გასროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კვლავ ისახელა თავი მ. ღვინერიამ, რომელმაც 300 შესაძლებლიდან 261 ქულა მოაგროვა. გუნდური ჩათვლაც დოსააფის წარმომადგენლებმა მოიგეს.

ორ დღეს გაგრძელდა შეჯიბრება „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგ გასროლაში. კარგ სპორტულ ფორმაშია დინამოელი სპორტის ოსტატი გ. ბექთაშევი. მან წარუმატებლად დაიწყო — 100 შესაძლებლიდან 91 ქულა მოაგროვა და 3 ქულით ჩამორჩა ოსტატ გ. ბოსტოღანაშვილს, მაგრამ მეორე სერიაში 8 ქულით აჯობა მას, ბოლო 50 შესაძლებლიდან კიდევ 3 ქულით გაასწრო და საბოლოოდ 226 ქულა მოაგროვა. ეს იყო ოსტატის ერთადერთი შედეგი ამ ასპარეზობაში.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

ა. მერჟანოვი

ფეხბურთის ოლიმპზე

დიდი ხანია არსებობს შეხედულება, რომ ინგლისური ფეხბურთი ათლეტური, ძალისმიერი და უხეშიც კია. ყოველთვის, როცა ჩვენი გუნდები ბრუნდებოდნენ ბრიტანეთის კუნძულებიდან, მწვრთნელებს გამოჰქონდათ დასკვნა: „უნდა ვითამაშოთ მკვეთრად, როგორც ინგლისელები თამაშობენ". მაგრამ არავინ ცდილა შეემჩნია ბურთის ფლობის რაციონალური, ტიპიური ინგლისური ტექნიკა და ძალისმიერი ბრძოლის ტექნიკა.

ახლაც კი, როცა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებიდან საკმაო დრო გავიდა, ამბობენ, თითქოს გაიმარჯვა ათლეტურმა, ფიზიკური უპირატესობის, მკვეთრი ბრძოლის სკოლამ. ეს განსაზღვრა ერთობ ცალმხრივია. ასეთი ელემენტები ყველა გუნდს აქვს, მაგრამ მაღალი ტექნიკური ოსტატობა, ტაქტიკური აზროვნება, რომელიც ათლეტიზმს ემყარება, არ ჰყოფნიდა ჩემპიონატის ზოგიერთ მონაწილეს და მათ შორის ჩვენს ნაკრებსაც.

ვერავინ დაგვიმტკიცებს, რომ ინგლისელებმა მხოლოდ ათლეტური კომპონენტების წყალობით გაიმარჯვეს. ბურთის ფლობის ინგლისურმა მაღალმა ტექნიკამ, ისევე როგორც ძალისმიერი ბრძოლის ტექნიკამ, ისეთი სრულყოფილი ფორმები მიიღო, რომ მსაჯის სასტვენი მის მიმართ დუმს. ეს ტექნიკა შეიძლება მივიჩნიოთ ეტალონად და მიბაძვის საგნად.

მაშ ასე: ინგლისელები ფინალში გავიდნენ. პორტუგალიასთან მატჩში ისინი უკვე ჰგავდნენ მსოფლიო ჩემპიონებს.

სულ სხვა ხასიათისა იყო მეორე ნახევარფინალური მატჩი, სადაც საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდნენ დასავლეთ გერმანიის ნაკრებს.

საფეხბურთო ციებ-ცხელება დილიდანვე დაიწყო. მისი პულსი განსაკუთრებით ძლიერად სცემდა ლივერპულის პრეს-ცენტრში, სადაც დაობდნენ, ტელეფონით ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს ეკახებოდნენ ჟურნალისტები. ყოველი მხრიდან ისმოდა გერმანული სიტყვები. დასავლეთ გერმანიიდან 120 მიმომხილველი ჩამოვიდა, ხოლო იქაურ ტურისტთა რაოდენობას თვლა არა ჰქონდა. ლივერპულში მათი რაოდენობა 10 ათასს აღწევდა.

საღამოს ეს ტურისტები „ევერტონის" სტადიონის ტრიბუნებზე ვიხილეთ. ყველა ტრიბუნაზე სხვადასხვა ზომის შავ-ყვითელი დროშები ჩანდა. გულშემატკივარნი ხმამაღლა იმეორებდნენ ცალკეულ მოთამაშეთა გვარებს, გამამხნევებელი სიტყვებით მიმართავდნენ მათ. საერთოდ, სტადიონზე გამაყრუებელი ხმაური იდგა. ეს კიდევ უფრო ზრდიდა დაძაბულობას.

როგორც კი შეხვედრა დაიწყო, ტრიბუნებზე სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინვე შესამჩნევი შეიქმნა, რომ ეს მატჩი სრული ანტიპოდი იყო იმ თამაშებისა, რომლებიც ჩვენ ვიხილეთ აქ — „ევერტონზე" და „უემბლიზე". თვალში გვეცემოდათ ძალისმიერი თამაში, წესის ხშირი, თითქმის დემონსტრაციული დარღვევა. მსაჯი ლობელო ვერ აუდიოდა მოთამაშეთა გაფრთხილებას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი ისეთი ექსპრესით გადმოვიდა შეტევაზე, რომ ჩვენი ფეხბურთელები დასაწყისში შეცბუნდნენ და უკან დაიხიეს. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ გერმანელები შეუფერხებლად, წინააღმდეგობის გარეშე ურტყამდნენ კარში. სწრაფმა ემერიხმა უკვე პირველივე წუთებზე მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა მაღალ კუთხეში. სტადიონს ყიჟინა მოედო. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ გერმანელებმა ანგარიში გახსნეს. და ანაზდად ყუმბარასავით გაგზავნილ ბურთს ულამაზესი ნახტომით დაეუფლა მეკარე იაშინი. ეს იმდენად მოულოდნელი და წარმოუდგენელი ნახტომი იყო, რომ ემერიხმა ხელები გაშალა და დანარჩენებიც წამით გაქვავდნენ ადგილზე. იაშინის კარს უკან მანამდე მოძრავი დროშების ტყეც უცებ გაშეშდა. გავიდა წუთი და იაშინმა არანაკლებ ძნელი ბურთი მოიგერია ზეელერისგან, შემდეგ აიღო ჰალერის მიერ დარტყმული მესამე ბურთი.

ტრიბუნებზე აღარავინ იჯდა. იდგნენ და ხელებს იქნევდნენ, ყოველი მხრიდან ისმოდა იაშინის გვარი. გერმანელი გულშემატკივრები აღარ აფრიალებდნენ დროშებს. ჩემს წინ ფრანგი ჟურნალისტი რ. ბერნი იჯდა. ყოველთვის, როცა იაშინი იგერიებდა ან იღებდა ძნელ ბურთს, იგი მთელი ტანით ბრუნდებოდა ჩვენსკენ და მოწონების ნიშნად მაღლა წევდა ცერა თითს.

ინგლისელები იცნობენ და პატივს სცემენ იაშინს იმ ღირსშესანიშნავი მატჩის შემდეგ, როცა იგი ლონდონში, „უემბლის" სტადიონზე იცავდა მსოფლიოს ნაკრების კარს. ახლა იაშინი თავისი ქვეყნის გუნდის კარში იდგა და ბრწყინვალე თამაშით დიდი ესთეტური სიამოვნება მოჰგვარა ლივერპულელ მაყურებელს. და მაინც მატჩს უინციდენტოდ არ ჩაუვლია. ჯერ საბო დამავდა, ხოლო შემდეგ, შესვენების წინ, მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ჩისლენკო, რომელმაც განზრახ მოარტყა ფეხი ჰელდს.

შეხვედრის მეორე ნახევარი ჩვენმა გუნდმა 10 კაცის შემადგენლობით ჩაატარა და როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, გაცილებით უკეთ ითამაშა. მაგრამ მატჩი მაინც წავაგეთ — 1:2.

გულნატკენნი, გაწბილებულნი ვტოვებდით სტადიონს. გასასვლელთან შეჩერება მოგვიხდა. საქმე ისაა, რომ ტელეკომპანიამ მოაწყო გადაცემა, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა და დასავლეთ გერმანიის მწვრთნელები და თითო ჟურნალისტი. ჩვენგან გამოვიდა ბ. გურნოვი, ხოლო „კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტი პ. მიხალევი, „პრავდის" კორესპონდენტი ვ. ივანტიევი და მე ვიცდიდით. ყველას გველოდა ღამის მგზავრობა ლივერპულიდან ლონდონამდე.

დაწვრილებით ვარჩევდით სულ ახლახან დამთავრებულ მატჩს და ვერც ერთი ვერ ვმალავდით აღფრთოვანებას იაშინის თამაშით. მან მართლაც საუცხოოდ ჩაატარა მატჩი, ითამაშა ისე, როგორც თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლებში და გაადარჩინა გუნდი დიდი ანგარიშით დამარცხებას. მით უფრო გაკვირვებული დავრჩით, როცა ტელეგადაცემიდან დაბრუნებულმა ბ. გურნოვმა გვითხრა რა პასუხი გასცა ჩვენმა მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა დასავლეთგერმანელი ჟურნალისტის პროვოკაციულ შეკითხვას: დამნაშავეა თუ არა ლ. იაშინი მეორე ბურთის გაშვებაში? ნ. მოროზოვს უთქვამს: „დიახ, დამნაშავეა. ეს მე უკვე ვუთხარი მას!"

გულახდილად უნდა გითხრათ, ასეთი პასუხი ყოველივე იმის შემდეგ, რაც იაშინმა გააკეთა, გვეწყინა. ეს იყო, სულ ცოტა, მოუფიქრებელი ნათქვამი. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ თვით იაშინს შეეძლო, მაგრამ მას არავინ შეეკითხვია. ეტყობა, საჭირო იყო „მოხერხებული" ვერსიის შეთხზვა დამარცხების მიზეზებზე და იგი შეთხზეს კიდეც. ნამდვილ მიზეზებს გაცილებით ღრმა ფესვები ჰქონდა და ეს სრულიადაც არ ეხებოდა იაშინის თამაშს.

ფართო, ასფალტირებულ გზაზე ლონდონამდე იმ ღამეს ტევა არ იყო. მაშინვე ვცნობდით გერმანულ მანქანებს: მორთულს ეროვნული დროშებით, სხვადასხვანაირი ლენტებით და ყვავილებით. ისმოდა სიმღერა, მუსიკა. გზა ისე იყო გაჭედილი, რომ შეჩერება მოგვიხდა და ჩუმად ვუცქერდით ქუჩაში შესულ გულშემატკივართა კოლონებს. ზოგიერთნი მანქანებს აჩერებდნენ და იქვე, გზის პირას სვამდნენ. სხვანი ღამის რესტორნებში მიეშურებოდნენ. ეს იყო ნამდვილი მასობრივი ფსიქოზი.

დავიცადეთ, სანამ უკანასკნელი მანქანები მარცხნივ, ეტყობა — შეფილდისკენ გაუხვევდნენ და ჩვენი გზა განვაგრძეთ. გაგნება არ გაგვჭირვებია. გზატკეცილის ორივე მხარეს გარკვეული ინტერვალითაა ჩამწკრივებული ბოძები, რომელთა მიხედვითაც ზუსტად გაიგებ რამდენი გაიარე, რამდენი დარჩა და სად რა პუნქტია. მოკიაფე ფარებზე ნათლად წაიკითხავ რამდენი მილია ბირმინჰემამდე, რამდენი მილის შემდეგ იქნება მოსახვევი დერბისკენ და ვულვერჰემპტონისკენ.

ღამით გავიარეთ განათებული ბირმინჰემი, შემდეგ კოვენტრი, დოუნსტაბლი, ბარნეტი. ლონდონში შევედით გარიჟრაჟზე, როცა გიგანტური ქალაქის მძიმე სუნთქვა მიწყნარებულია. აისის ცაზე შავად ჩანდა ვეება ქარხნების საკვამლე მილები. გავიარეთ მიძინებული ქალაქი და მივადექით უჩვეულოდ ჩუმ ჰაიდ-პარკს.

პარკში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. იგი ცარიელი იყო. ჩამოვჯექი სკამზე და ღამის დამქანცველი მგზავრობის შემდეგ შვება ვიგრძენი. დილის ცვარიანი ბალახის სურნელება კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდიდა გარიჟრაჟს. პირველი ხმა ჩიტებმა გამოიღეს. მათი ჟივილ-ხივილი თანდათან მატულობდა და როცა აღმოსავლეთით მზე ამოიწვერა, ისინი უკვე სრული ხმით ეგებებოდნენ ახალ დღეს. ქუჩაში, სადაც ჯერ კიდევ ენთო ლამპიონები, გაიარა ავტომანქანამ, მას მოჰყვა მეორე, მესამე... ბეისუატერ-როდი ილვიძებდა და სულ მცირე ხანში ჩვეულებრივი ხმაურიანი გახდა. ადრიანი დილის მშვენიერება, სიჩუმის იდუმალება გაქრა. იწყებოდა ლონდონის ხმაურიანი, საქმიანი დილა.

ეს ჩვეულებრივი დღე იყო, მაგრამ ქალაქი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა მომავალ ფინალს ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის გუნდებს შორის. ოდესღაც განთქმული ცენტრალური მცველი ბილი რაიტი, რომელიც ახლა პოპულარული რადიოკომენტატორია, დიდხანს ესაუბრებოდა ფეხბურთის მოყვარულებს, მოუთხრობდა მათ ჩემპიონატის განვლილ და მომავალ ბრძოლებზე. [illegible]

წინ იყო ერთი საფეხბურთო სკოლის ორი მეტოქის შეხვედრა. ჟურნალისტებისთვის სპეციალურად გამოყოფილი მატარებლით გავემგზავრეთ „უემბლიზე". 100 ათასი მაყურებელი უკვე იჯდა ადგილებზე, ხოლო გუნდები ჯერ კიდევ არ ჩამოსულიყვნენ.

დასასრული იხ. შემდეგ ნომერში.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 31, 32, 33, 36, 37, 41, 42.

სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

შედგა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც პრეზიდიუმის წევრები გაეცნენ იმ წერილის შინაარსს, რომელიც იუწყება ახალი საერთაშორისო სპორტული ორგანოს — აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს შექმნას.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი მიესალმება ასეთი ორგანოს შექმნას, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს აფრიკაში სპორტული მოძრაობის განვითარების საქმეს, აფრიკელი სპორტსმენების ფართოდ გამოსვლას საერთაშორისო შეჯიბრებებში.

პრეზიდიუმი იზიარებს აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს კანონიერ მოთხოვნას სპორტში რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე.

ფეხბურთი

დამარცხების მიუხედავად

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 1 მარტი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „გურნიკი" (პოლონეთი, ქ. ზაბჟე) 0:2 (0:1).

„ლოკომოტივი": გრძელიშვილი, ფრიდმანი, კოპინი, სახვაძე, მირიანაშვილი, ძაგანია, მუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური, ისიანი, გავაშელი.

„გურნიკი" კოსტკა (გომოლია), კუხტა, ოსლიზლო, ოლშუვკა, ლატოხა (ფლორენსკი), ვილჩეკი, ოლეგი, მუშჩელეკი, შალტუშეკი, ლიუბანსკი, ვანატი (პოლი).

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

1 მარტი ერთობ ადრეული პერიოდია როგორც პოლონური, ისე ქართული ფეხბურთისთვის. აქაც და იქაც წინასასეზონო სამზადისია, გუნდები მხოლოდ იწყებენ თამაშს, ცდიან თავიანთ ძალებს და მიუხედავად ამისა, გუშინდელმა მატჩმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე. ბრძოლა იყო საინტერესო, ცოცხალი, დაძაბული მომენტებით აღსავსე.

„გურნიკი" საუკეთესო კოლექტივია, დაკომპლექტებული მაღალი კლასის ფეხბურთელებით. ყველაფერი იმის გარდა, რაც უნდა ახასიათებდეს ამ კატეგორიის გუნდს (ტექნიკა, ტაქტიკა, ფიზიკური მომზადება), შესამჩნევი იყო, რომ თითქოს უმნიშვნელო პოზიციაშიც კი თვითეული მოთამაშე იბრძვის მთელი ძალით, მთელი ენერგიით, დაუზარებლად. ურთიერთდაზღვევა, თავისუფალ ადგილზე გასვლა ხდება დაუყოვნებლად, დროზე, ზუსტია გადაცემები და კარში დარტყმა, ბურთის დამუშავებისას პოლონელები დროს ზედმეტად არ კარგავენ.

თბილისელებმა, მართალია, წააგეს ეს მატჩი, მაგრამ სასაყვედურო მათ მიმართ არაფერი გვაქვს. საქმე წაგებაში არაა. ჩვენი გუნდი თამაშობდა კოლექტიურად, კარგ ტემპში, გაბედულად, თუ ვილაპარაკებთ ანგარიშზე, იგი შეიძლება არც ყოფილიყო ასეთი საგრძნობი. მაგალითად, პირველი ტაიმის დასასრულს „ლოკომოტივის" 3 ფორვარდი დარჩა სტუმრების კარის წინ და გამოუყენებულ არ იქნა ეს მომენტი, ხოლო შესვენების შემდეგ, პირველივე წუთებზე, კაიშაური—ისიანის კომბინაციის შედეგად ეს უკანასკნელი პირისპირ გავიდა მეკარესთან სულ ახლოს, ღია პოზიციაში, გადამწყვეტი დარტყმა კი არაზუსტად შეასრულა.

ანგარიში მე-8 წუთზე გახსნა ლიუბანსკიმ, ხოლო მეორე ტაიმში, 25-ე წუთზე ცნობილმა ფორვარდმა პოლმა მეორე ბურთი გაგზავნა ლოკომოტიველთა კარში — 2:0.

ვიმეორებთ, წაგების მიუხედავად თბილისის „ლოკომოტივმა" ცხადყო, რომ იგი სერიოზულად ემზადება სეზონისთვის და ტურნირში, სადაც მას საქმე ექნება არა პოლონეთის შვიდგზის ჩემპიონთან, არამედ, სხვა კატეგორიის მოწინააღმდეგეებთან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი სასურველ წარმატებას მიაღწევს.

ზ. ქორქია.

„სოვეტსკი სპორტის" თასი

ქუთაისში....

ზამთრის საკავშირო საფეხბურთო ტურნირში ქუთაისის „ტორპედოს" მორიგი მოწინააღმდეგე გუშინ იყო მოსკოვის „ლოკომოტივი". ორივე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა გააჩნდა და გარკვეული ამოცანაც ჰქონდა დასახული: დასწეოდა ოდესის არმიელთა კოლექტივს, რომელიც დაწინაურდა თბილისის „დინამოსთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი. გუნდის ენერგიული თამაში დამთავრდა დამსახურებული გამარჯვებით: გადამწყვეტი ბურთი მოსკოველთა კარში გაიტანა ქითანავამ — 1:0. ახლა „ტორპედო" კვლავ სათავეში უდგას ტურნირს I ჯგუფში.

ბათუმში...

აქ, „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ოდესის „ჩერნომორეცი" და ლუგანსკის „ზარია".

მატჩი ძირითადად უფერულად მიმდინარეობდა. პირველი 15 წუთის განმავლობაში უპირატესობას ოდესელები ფლობდნენ, მაგრამ მათი მოკლე გადაცემები „ზარიას" საჯარიმო მოედნამდე ძლივს აღწევდა.

შემდგომში ინიციატივამ ლუგანსკელთა მხარეს გადაინაცვლა. ჯერ პროდანეცს, შემდეგ დორონინს ჰქონდათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობანი, მაგრამ ამაოდ.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

გუშინ...

გუშინ შედგა ტურნირის კიდევ 2 მატჩი. დონეცკის „შახტიორისა" და ლენინგრადის „ზენიტის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" დაამარცხა დუშანბეს „ენერგეტიკი" — 2:0.

სროლა

იყო

ზოსტოლანაშვილმა 250-დან 218 ქულა მოაგროვა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მოასპარეზეთ უამინდობა უშლიდა ხელს, ნებისმიერი მიზნით 300 მეტრიდან სტანდარტზე (3×20) მსროლელებსაც არ უნდა დავემდუროთ. შეჯიბრების დაწყებამდე სპეციალისტები ახალი რესპუბლიკური რეკორდის დაბადებას ელოდნენ, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. გაიმარჯვა დინამოელმა თ. მეგრელიშვილმა, რომელმაც წოლილა სროლისას 197 ქულა დააგროვა, ჩოქილა — 188, დგომილა კი 12 ქულით ნაკლები. სტანდარტზე მისი მაჩვენებელი — 561 ქულა — მხოლოდ ოსტატობის კანდიდატის ნორმას უდრის. მეორე იყო ა. სტროევი — 560, III ადგილზეა ლ. ოსტრიკოვი — 558.

შეჯიბრება გუშინ დამთავრდა. საქართველოს ტყვიის მსროლელებს სპარტაკიადამდე კიდევ ბევრი ასპარეზობა ელით და იმედია, ამ დროს გონივრულად გამოიყენებენ, ეცდებიან იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რაც ტურნირმა გამოავლინა.

ა. ოსიპოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სულ ახლახან დამთავრდა საქართველოს „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების ტრადიციული ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის პრიზზე. ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია ჭიათურის „მაღაროელის" კოლექტივმა, რომელიც წელს პირველად გამოვა „ბ" კლასის გუნდების საკავშირო გათამაშებაში.

სურათზე: თასის მფლობელი — ჭიათურის „მაღაროელი". სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) — ე. გაფრინდაშვილი, ვ. ლობანოვი, ზ. ცხადაძე, ს. აუშტროვი, ზ. მაისურაძე. დგანან — რ. გიორგობიანი, გ. ბუაძე, ჯ. ჩუხუა, გ. ჩარკვიანი, გ. ვართანევი, ა. ეგოროვი. ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

სპორტი და რელიგია

ერთი შეხედვით, სპორტი და რელიგია სრულიად საწინააღმდეგო ცნებებია. მართლაც, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის ლიდერები ილაშქრებდნენ ადამიანის სხეულის ჯანმრთელობისთვის ზრუნვის წინააღმდეგ. რელიგიურ სასწავლებლებში და ეკლესიების კათედრებიდან საუკუნეების მანძილზე გაისმოდა ქადაგება, რომ სხეული ეშმაკისეულია, რომ მთავარია სრული განდგომა ამქვეყნიური სიამოვნებიდან და იმქვეყნიური სასუფევლისთვის მზადება.

ძველ საბერძნეთში ფიზიკური აღზრდის საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ კი ეკლესია ოფიციალურად გამოდიოდა ფიზიკური აღზრდის წინააღმდეგ. იმპერატორმა თეოდოს პირველმა 394 წელს სწორედ რელიგიის მსახურთა დაბეჯითებული მოთხოვნის შემდეგ აკრძალა ოლიმპიური თამაშები.

... დღეს შეუძლებელია უარყო ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდი მნიშვნელობა. შეიცვალა დრო, შეიცვალა მოთხოვნები. შესაბამისად, საჭიროა მოქმედების საშუალებათა გადასინჯვა, ეპოქის თავისებურებათა გათვალისწინება.

თანამედროვე რელიგიურ მიმდინარეობათა ლიდერები ყოველმხრივ ცდილობენ თავიანთი იდეოლოგია დღევანდელობას შეუგუონ, მისცენ რელიგიას საუკუნის შესაფერი ელფერი. ამიტომ არის, რომ ფიზიკური აღზრდის წინააღმდეგ აღარ ილაშქრებენ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ რომის პაპმა პავლე მეექვსემ ერთ-ერთ თავის ქადაგებაში თქვა, რომ მორწმუნეებმა უნდა იზრუნონ ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის. საამისოდ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებად მან სპორტულ სექციებში გაერთიანება და ფიზიკური ვარჯიში მიიჩნია.

ამჟამად საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში არსებობს რელიგიურ-სპორტული ორგანიზაციები. მათ შორის ყველაზე პოპულარულია „ქრისტიან ვაჟთა საერთაშორისო ასოციაცია" (იმკა). ორგანიზაცია 4 მილიონ წევრს აერთიანებს. საყურადღებოა, რომ ამ ასოციაციის დამაარსებელი ჯორჯ ვილიამი ბრიტანეთის ნაციონალური გმირების — ადმირალ ნელსონის და გრაფ ველინგტონის გვერდით დაკრძალეს დიდი პატივისცემის ნიშნად.

„ქრისტიან ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციის" პარალელურად არსებობს „ახალგაზრდა ქრისტიან ქალთა საერთაშორისო ასოციაციაც", რომელიც 3 მილიონ წევრს ითვლის. უკვე ათი წელიწადია, რაც „კათოლიკური სწავლების საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია" სისტემატურად აწყობს მორწმუნე სპორტსმენთა მსოფლიო პირველობას.

რელიგიური სასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზიკური აღზრდის საკითხებს. ამ სასწავლებლებში მუშაობს სპორტული სექციები. ჰყავთ ფეხბურთელთა, ფრენბურთელთა, ჰოკეისტთა, მაგიდის ჩოგბურთელთა და სხვა გუნდები. თანამედროვე რელიგიის ლიდერები თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ზოგიერთი გამოჩენილი სპორტსმენის მორწმუნეობას, ფართო პროპაგანდას უწევენ მისი რელიგიური ცხოვრების მომენტებს.

ცნობილ ავსტრალიელ მოცურავეს კოლლინზს ნება დართეს ეკლესიაში საცურაო კოსტუმში გამოწყობილი გამოცხადებულიყო და ისე დაეწერა ჯვარი.

ამერიკელი სპორტსმენების — რეა შირერის და ბარბარა ენგლის ჯვარისწერა კიდევ უფრო უცნაურ სპორტულ ვითარებაში მოხდა. სწრაფმავალ ნავში იჯდა მღვდელი. ნავს საწყლოსნო თხილამურებით მიჰყვებოდნენ ამ სახეობის გამოჩენილი ოსტატები — შირერი და ენგლი. მღვდლის შეკითხვაზე: თანახმანი ხართ თუ არა შეუღლებისაო, ისინი გაჰყვიროდნენ: „თანახმანი ვართ".

ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადის მონაწილე კანადელი ჰოკეისტების გუნდის მწვრთნელად დანიშნული იყო 38 წლის მღვდელი პატრი ბაუერი.

სკვო-ველის ზამთრის VIII ოლიმპიადისთვის რელიგიურმა ორგანიზაციებმა დიდძალი ლიტერატურა და მრავალი პლაკატი გამოუშვეს. პროპაგანდის ძირითადი თემა იყო ქრისტეს მოწოდება მაღალი სპორტული მიღწევების მოპოვებისთვის. წიგნებისა და ბროშურების ავტორები იმის მტკიცებასაც კი შეუდგნენ, თითქოს თავად ქრისტე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზკულტურასა და სპორტს.

ყოველივე ამის შემდეგ ისმის ერთი პრინციპული კითხვა: რით უნდა აიხსნას ეკლესიის მსახურთა ასეთი „გულის მობრუნება"? ახალგაზრდობის ლტოლვა სპორტისადმი დღეს განსაკუთრებით დიდია. სპორტი დიდ როლს თამაშობს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. რელიგია თანდათან კარგავს გავლენას და მის აღდგენას სწორედ სპორტის დახმარებით ცდილობს. აი, ეს არის ზემონათქვამის უპირველესი მიზეზი.

სინამდვილეში რა როლი შეიძლება რელიგიამ შეასრულოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში? ბიბლია გმობს სხეულის ჯანმრთელობისთვის ზრუნვას. მაღალ შედეგებს კი სპორტსმენები ქრისტეს წყალობით როდი აღწევენ, არამედ დაუღალავი მუშაობისა და სისტემატური წვრთნის შედეგად.

დ. ბებეშიძე,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ბილ რასელის 4 მცნება

იგი 31 წლისაა. 1956 წელი მისი კარიერისთვის გადამწყვეტი თარიღი იყო: ბილ რასელმა დაამთავრა სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტი და მელბურნში ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა. სამშობლოში რასელი დაბრუნდა როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი და, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი კონტრაქტიც იშოვნა.

მისი ყოველწლიური შემოსავალი 100 ათას დოლარს აღემატება, მაგრამ „ბოსტონ სელტიკის" კლუბმა იცის რაზე ხარჯავს ფულს. მას შემდეგ რაც „ბოსტონი" ბილ რასელს დაეპატრონა, მსოფლიოს უცვლელი ჩემპიონია პროფესიონალთა შორის. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბილ რასელს, 206 სანტიმეტრიან გიგანტს, რომელიც სიმაღლეზე ხტომაში თავისუფლად ძლევს 2 მეტრიან თამასას და რომელიც კალათბურთის ისტორიაში მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მცველად ითვლება.

თავისი თავბრუდამხვევი კარიერის დასაწყისში ბილ რასელმა განაცხადა: „მე არა მაქვს უფლება თამაშის დროს ვინერვიულო". სწორედ ამიტომაცაა, რომ იგი უდიდეს როლს ანიჭებს ფსიქოლოგიურ ტაქტიკას. აი რას წერს ამის თაობაზე პოლონური სპორტული ჟურნალი „სპორტოვეცი": — პროფესიონალური კალათბურთი,—ამბობს რასელი, — სპორტის უძნელესი სახეობაა, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვებას. ამ მიზნისათვის ყველა შემთხვევა უნდა გამოიყენო. ახალბედა მეტოქეს, მუდამ, როგორც წესი, ვაფრთხილებ: „ბიჭუნა, რა გემართება? რატომ ერთხელაც არ მოგაწოდეს ბურთი? ნუთუ მართლა ასე სუსტად თამაშობ?" და მეტოქეც თავის ძალებისადმი რწმენას კარგავს. ასე მხოლოდ გამოუცდელთა მოტყუება შეიძლება. გაცილებით უფრო ძნელია ფსიქოლოგიური ზემოქმედება „გამოცდილ მგლებზე".

ჩვენთვის ყველაზე უსიამოვნო პარტნიორია „ფილადელფია უორიორსი", მასთან შეხვედრაში ჩემი კონკურენტია უილტონ ჩემბერლენი (სიმაღლე 216 სმ, წონა 125 კგ). მეორე და მეოთხე ტაიმების ბოლოს, თავს საოცრად მოქანცულად ვგრძნობ. (პროფესიონალები თამაშობენ ოთხ 12 წუთიან ტაიმს) მიხურს ფეხის კუნთები, გაშმაგებით მიცემს გული. და მაინც უილტონს ვეჩურჩულები: „არასდროს ვიფიქრებდი, რომ ასეთი ჯანიანი ახალგაზრდა ასე უდიერად და უხეშად მოეპყრობოდა მოხუცს". მართალია ჩემბერლენი ამ ანკესს არც ისე ხშირად ეგება, მაგრამ ჩემს სიტყვებს მასზე მაინც აქვს გავლენა.

გუნდში შემუშავებული გვაქვს მთელი რიგი ტაქტიკური ხერხები მეტოქის ფსიქოლოგიური განადგურებისთვის. ასე მაგალითად კ. კოკესი ათასგვარ ტრიუკებს ფლობს. მე ხშირად მინახავს თუ როგორ ამასხარებს იგი მეტოქეს. ფ. რამსეი (მისი სიმაღლე 185 სმ) მაღალი ტანის მოწინააღმდეგეებს თავისებურად უსწორდება. იგი მათ ხან ფეხებში უძვრება, ხან განგებ ეჯახება, ხან კი ხმამაღლა უყვირის. ყოველ ჩვენგანს დამუშავებული აქვს რაღაც კონკრეტული და უსიამოვნო სიურპრიზი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში წარმატებით ვიყენებთ.

ბილ რასელს თავისი კრედო 4 პუნქტად აქვს ჩამოყალიბებული, რომელსაც პროფესიონალი კალათბურთელები „რასელის მცნებას" უწოდებენ:

1. ყოველნაირად უნდა ეცადო, რომ მეტოქემ იაზროვნოს. თუ შენი კონკურენტი ფიქრობს და არ მოქმედობს — იგი შენია.
2. მოწინააღმდეგის სუსტი მხარე უცბად უნდა შეამჩნიო და გამოიყენო. თუ ეს ჩვევა არა გაქვს, დაივიწყე კალათბურთი.
3. არასდროს არ უნდა დაივიწყო ამხანაგობის გრძნობა. მაგრამ როცა ყველა მიგატოვებს, გაიხსენე, რომ შენც შეგიძლია მუჯლუგუნის ხმარება.
4. ნუ დაგავიწყდება, რომ კალათბურთი თამაშია. თუ მეტოქეს გამოიყვან წონასწორობიდან, შეხვედრა მოგებული გაქვს.

ასეთი აზრისაა კალათბურთზე ბილ რასელი, პროფესიული სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ნ. პიჩკოვა.

• • •



სურათზე: ბილ რასელი.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

✦ კეისარს — კეისრისა...

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მათი ნაკრების ტრიუმფმა ბოლო ჩემპიონატში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფეხბურთის პოპულარობას მისსავე სამშობლოში. შარშანდელზე მილიონით მეტი მაყურებელი ესწრებოდა ქვეყნის ჩემპიონატს უმაღლესი ლიგის კლუბების მონაწილეობით. მათ შორის ბევრი ახალბედაა, ის, ვინც ფეხბურთი პირველად 30 ივლისს, „ოქროს ქალღმერთისთვის" ბრძოლის ფინალური მატჩის დღეს ნახა ტელეეკრანებზე. ამ თამაშს, რასაკვირველია, ყველა უყურებდა.

იტალიური ფეხბურთის მესვეურებს კი სულ სხვაგვარად აქვთ საქმე. ალბიონის მწვანე მინდვრებზე კრახს უამრავი „ტიფოზის" დაკარგვა მოჰყვა შედეგად. დენტმა კი, რომლის სახელსაც ფეხბურთის მეფე იცავს, გადაჭრით განაცხადა: კლუბი არავის დაუთმობს „შავ მარგალიტსო". ასეა თუ ისე, ჭორი არ ცხრება.

ბრაზილიის კლუბმა „კორინტონმა" დაარღვია ხელშეკრულება ბრაზილიელთა ორგზის ტრიუმფის მეორე მონაწილესთან — გარინჩასთან. 32 წლის ფეხბურთელს წვრთნის მიმართ აგდებული დამოკიდებულება დასწამეს. გაუხსენეს ძველი ცოდვებიც: მწვრთნელის ნებართვის გარეშე რომ მიდიოდა შეკრებიდან. მაგრამ, როგორც ჩანს, გარინჩას მთავარი ცოდვა მაინც ასაკია...

რიო-დე-ჟანეირო.

✦ პრიზის მიღებისთანავე

ორი ოლიმპიადის ჩემპიონმა, ცნობილმა მარათონელმა ა. ბიკილამ მოუთმენლობა ვერ დაფარა საზეიმო მიღებაზე ჟენევის რატუშაში. ამ მიღებაზე კოლუმბის მშობლიური ქალაქის მერმა საპატიო პრიზი გადასცა ეთიოპიის საიმპერატორო გვარდიის ლეიტენანტს, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენს. ლაურეატი ჩქარობდა. იგი პრიზის მიღებისთანავე მანქანაში ჩაჯდა და აეროპორტს მიაშურა. სუდანში ფინალური მატჩი ტარდებოდა აფრიკის თასზე. ბიკილა კი ფეხბურთის თავგადადებული გულშემატკივარია და ამ შეხვედრას როგორ არ დაესწრებოდა?

ჟენევა.

✦ უცოლო გულშემატკივარი

სატელეგრაფო სააგენტოებმა გადმოსცეს საყვარელი გუნდისთვის თავდადების ჭეშმარიტად საკვირველი მაგალითი: ინგლისის კლუბის „ნორვიჩ სიტის" გულშემატკივარმა, 24 წლის ინჟინერმა პიტერ კუპერმა თავისი გუნდისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრის წინ სამი საათი დაჰყო... ძაღლის სავარძელში. იგი საყვარელი გუნდის შესაფერად. — ყვითელ-მწვანედ იღებავდა თმას.

პიტერმა პირობა დადო: ამ თმით ვივლი, თუ გუნდი გაიმარჯვებსო, ამას რომ ჰყვებიან, კომენტატორები დასძენენ: კუპერი უცოლოაო. მისი გული მხოლოდ ფეხბურთის სასიყვარულოდაა გახსნილი.

ლონდონი.

✦ ფეხბურთის პირველი ლედი

ლიბერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს... ქალი. ეს პირველი შემთხვევაა ფეხბურთის ისტორიაში. ტელმა მორის ჯორჯი თავად არ თამაშობს ფეხბურთს, მაგრამ, სამაგიეროდ, თავგადადებული გულშემატკივარი და მფარველია ამ თამაშისა.

მონროვია.

✦ ჭორი და სინამდვილე

ბრაზილიისა და ლონდონის გაზეთები კვლავ დიდ ადგილს უთმობენ ჭორს, ვითომ სახელგანთქმული პელე 1.250 ათას დოლარად უნდა იყიდოს მილანის „ინტერნაციონალემ". მილანის კლუბის ხელმძღვანელებმა და თავად პელემ უარყვეს ეს ცნობა; „სანტოსის" პრეზი-

ცაქრეკი [illegible]

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

სპორტის 7 სახეობაში

დღეს ქალაქის სპორტულ ბაზებზე იწყება „განთიადის" საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ეძღვნება ოქტომბრის 50 წლისთავს. მოგვყავს სპარტაკიადის კალენდარი:

ჭადრაკი. „განთიადის" საჭადრაკო კლუბი. **2-15 მარტი.** დასაწყისი 18 ს.

ტყვიის სროლა. ოქტომბრის რაიონის დოსააფის ტირი. **2-16 მარტი.** დასაწყისი 17 ს.

ფრენბურთი. „განთიადის" მოედნები. **5-17 მარტი.** დასაწყისი 11 ს.

მძლეოსნობა. „დინამო" სტადიონი. **10-12 მარტი.** დასაწყისი 10 ს.

ქართული ჭიდაობა. „განთიადის" სპორტდარბაზი **11-12 მარტი.** დასაწყისი 15 ს.

ცურვა. „განთიადის" საცურაო აუზი. **12 მარტი.** დასაწყისი 13 ს.

საგზაოტკეცილო ველორბოლა. ნატახტრის გზატკეცილი. დასაწყისი 11 ს.

თბილისის სპორტულ გზებზე

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 43). თბილისის ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები. **XIV ტური.** დასაწყისი 17 ს.

თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა. ქართული ჭიდაობა. **2-3 მარტი.** „ლოკომოტივის" დარბაზი. დასაწყისი 16 ს. კალათბურთი. **2-9 მარტი.** ტრანსპორტის სამმართველოსა და ლენინის სახელობის სპორტდარბაზები. დასაწყისი 9 ს.

ცურვა. 3-4 მარტი. „შრომითი რეზერვების" საცურაო აუზი. დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66413 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.